



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

26/08/2020

N 61

თბილისი

შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ ობლიგაციების ემისიის საბოლოო პროსპექტის დამტკიცებისა და ფასიანი ქაღალდებისათვის საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 52-ე მუხლის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-11 და მე-15 პუნქტების, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 12 ოქტომბრის №226/04 ბრძანებით დამტკიცებული „საწარმოთა აქციებისა და ობლიგაციების ემისიის პროსპექტის და ფასიანი ქაღალდების ემისიისა და განთავსების შესახებ ანგარიშის წარდგენის წესის“ მე-3 მუხლის და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 სექტემბრის №73/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მოთხოვნის, მინიჭების ემისიის დამტკიცებული პროსპექტის და საჯარო შეთავაზების თაობაზე შეტყობინების რეგისტრაციის წესის“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-4 მუხლის მე-7 პუნქტისა და მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე:

1. დამტკიცდეს შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ (ს/ნ: 204972155) ობლიგაციების ემისიის საბოლოო პროსპექტი;
2. დამტკიცებული ემისიის საბოლოო პროსპექტის რეგისტრაცია განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;
3. შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ (ს/ნ: 204972155) ახლად ემიტირებულ სასესხო ფასიან ქაღალდებს მიენიჭოს საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი: GE 2700603949;
4. წინამდებარე განკარგულების გამოცემიდან 3 დღის ვადაში ეცნობოს შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიას“ (ს/ნ: 204972155) ახლად ემიტირებული ფასიანი ქაღალდებისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თაობაზე;

5. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;

6. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის მისი გაცნობისთანავე.

კობა გვენეტაძე

პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი

